



გალტი & თავართი

მშენიშნის მისაკლამბლთბებს

ნელლეულის ბაზრის ყოველთვიური მიმოხილვა

6 აგვისტო 2024

ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochoreshvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.8036

კახაბერ სამყურაშვილი

სექტორული კვლევების უფროსი | ksamkurashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.4298

სერგი ყურაშვილი

უფროსი ანალიტიკოსი | s.kurashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.3654



ნედლეულის ფასების დინამიკა

ნედლეული	ფასი	ცვლილება თვე/თვე*	ცვლილება 2024 წლის დასაწყისიდან	ცვლილება 2021 წლის იანვრიდან
ამონიუმის ნიტრატი აშშ დოლარი/ტონა	230.0	+4.5%	+27.8%	
ნავთობი (brent) აშშ დოლარი/ბარელი	80.7	-6.6%	+4.8%	
სპილენძი აშშ დოლარი/ტონა	9,102.3	-3.7%	+7.5%	
ფეროსილიკონი (ჩინეთი) აშშ დოლარი/ტონა	1,325.0	+0.8%	-0.7%	
ფეროსილიკონი (ევროპა) აშშ დოლარი/ტონა	1,459.2	-7.4%	+5.5%	
ოქრო აშშ დოლარი/უნცია	2,447.6	+5.2%	+18.6%	
ბუნებრივი აირი აშშ დოლარი/მკვ სთ	38.1	+1.6%	+22.1%	
ხორბალი აშშ დოლარი/ტონა	210.0	-4.5%	-19.9%	

წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: ფასები მოცემულია 2024 წლის 31 ივლისის მდგომარეობით

*თ/თ გულისხმობს თვის ბოლო მონაცემების ცვლილებას



ენერჯეტიკა

ნავთობი

2024 წლის ივლისში ნავთობის ფასი თვიურად 6.6%-ით შემცირდა. თვის განმავლობაში რამდენიმე პოზიტიური ფაქტორის მიუხედავად ნავთობმა ზედიზედ 4 კვირა კლებით დაასრულა და ივლისის ერთ ბარელზე \$80.7 ღირებულებით დასრულა. აშშ-ში კლებადი მარაგები და ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის ესკალაცია საკმარისი არ აღმოჩნდა გლობალური მოთხოვნის პრობლემების გადასაწონად.

აშშ-ში ზედიზედ 5 კვირის განმავლობაში ნავთობის მარაგები მცირდებოდა. მიუხედავად ამისა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ფასის ზრდისთვის, ვინაიდან ინვესტორები უფრო მეტ ყურადღებას მსხვილი ეკონომიკების მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს უთმობდნენ. სამრეწველო PMI-მ აზიაში, ევროპასა და ამერიკაში აქტივობის შენელება აჩვენა. აშშ-ს PMI 8-თვიან მინიმუმამდე შემცირდა (46.8), ევროზონის მაჩვენებელი კი 45.8-მდე. ზოგადად, 50.0-ზე დაბალი შედეგი მრეწველობის შემცირებას ნიშნავს. ბოლო თვეებში ჩინეთი დანარჩენ ორზე უკეთესად გამოიყურებოდა, თუმცა ივლისში მისი ინდიკატორიც 50-ზე დაბლა ჩამოვიდა, რაც ნავთობის გლობალურ ფასებში სწრაფადვე კლებით ითარგმნა, ვინაიდან აზიური სახელმწიფო ამ ნედლეულის უმსხვილესი იმპორტორია.

ამ ეტაპზე, მსოფლიო მოთხოვნის უარყოფითი მოლოდინები ფასების მთავარი განმსაზღვრელია, თუმცა არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რამაც შესაძლოა სწრაფად შეცვალოს სიტუაცია. მათ შორის უპირველესი ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტია. ჰესბოლას მიერ გოლანის სიმაღლეებზე განხორციელებულ შეტევას, მალევე ისრაელის მხრიდან ჰესბოლასა და ჰამასის უმაღლესი რანგის წარმომადგენლების მკვლელობა მოჰყვა ლიბანსა და ირანში. ეს უკანასკნელი მეტად საყურადღებოა, ვინაიდან დარტყმა ირანის ტერიტორიაზე განხორციელდა, რამაც შესაძლოა ისლამური სახელმწიფო ომში ჩაითროს და რეგიონში კონფლიქტი კიდევ უფრო გაიზარდოს. აღნიშნულმა ნავთობის ფასი სწრაფად გაზარდა - ერთ სავაჭრო სესიაში 4.3%-იანი მატება დაფიქსირდა. New York Times-ის მიხედვით ირანის უმაღლესმა ლიდერმა, აიათოლა ალი ხამენეიმ ისრაელზე პირდაპირი საპასუხო დარტყმის ბრძანება გასცა. მსგავსი ესკალაცია შესაძლოა ნავთობის ფასებისთვის მნიშვნელოვანი ზრდის განმაპირობებელი ფაქტორი იყოს, ვინაიდან რეგიონი ნავთობის მოპოვების ერთ-ერთი ჰაბია.


დამატებით, მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა ამ ეტაპზე სუსტია, მოლოდინები ნაწილობრივ დამაიმედებელია. ამერიკის ფედერალური რეზერვი საპროცენტო განაკვეთების შემცირებას, სავარაუდოდ სექტემბრიდან დაიწყებს. მონეტარული პოლიტიკის შერბილება ეკონომიკურ აქტივობაზე დადებითად უნდა იმოქმედოს, რაც ნავთობის მოთხოვნაშიც ითარგმნება.

გრაფიკი 1: ნავთობის ფასი (BRNOO), აშშ დოლარი/ბარელი



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 2: ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ბენზინის და დიზელის იმპორტის მოცულობა წლიურად 7.2%-ით გაიზარდა 6თვ24-ში და 570 ტონა შეადგინა. იმპორტის საშუალო ფასი ამავე პერიოდში 13.6%-ით გაიზარდა.

წყარო: საქსტატი



ენერჯეტიკა


ბუნებრივი აირი

2024 წლის ივლისში ბუნებრივი აირის ფასი თვიურად 1.6%-ით გაიზარდა. ისტორიაში ყველაზე ცხელი ზაფხული, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე საკმარისი არ არის ფასების მნიშვნელოვნად გასაზრდელად. მიუხედავად გაგრძელებისთვის ელექტროგენერაციის მზარდი მოთხოვნისა, ბუნებრივი აირის ბაზარმა საკმარისი მიწოდების მოძიება შეძლო. დამატებით, აშშ-ში გაზრდილი წარმოების შედეგად ადგილობრივი ფასები რეკორდულად შემცირებულია. მონაცემების მიხედვით, ბუნებრივი აირის ფასი აშშ-ში ზაფხულის პერიოდში ამ დონეზე 1990-იანი წლების შემდეგ არ ჩამოსულა.

დაბალი ფასების გამო მწარმოებლებმა მოპოვება შეამცირეს, დამატებითი შემცირებები კი შემოდგომაზე მოსალოდნელი. გამოცდილების მიხედვით, ამერიკული ფირმები საკმაოდ ადვილად ცვლიან წარმოების დონეს არსებული ფასების შესაბამისად. შესაბამისად 2025 წლიდან სავარაუდოდ კვლავ გაზრდიან მოპოვებას, ფასების მოსალოდნელი ზრდის გამო, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. მომავალ წელს მსხვილი LNG ექსპორტ-ტერმინალების გახსნა დაგეგმილი, რაც ადგილობრივ გაზზე მოთხოვნას გაზრდის. დამატებით, ანალიტიკოსები დატა და AI ცენტრებისგან ელექტროენერგიაზე გაზრდილ მოთხოვნას ელიან, შესაბამისად გაიზრდება თერმული ელექტრო სადგურების გამოყენებაც. აშშ-ს ელექტროენერგიაში ბუნებრივი აირი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. წლების განმავლობაში ჯამურ ელექტროენერგიის გამოყენებაში მისი წილი 40%-ზე ნარჩუნდებოდა, წელს დაბალი ფასების გამო ეს მაჩვენებელი 42%-მდე გაზრდილი.


ბოლო 2 ათწლეულის განმავლობაში LNG-ს ინდუსტრია ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდია ენერჯეტიკის სექტორში. Shell-ის მიხედვით ტრენდი კვლავ გაგრძელდება და მასზე მოთხოვნა 50%-ით გაიზრდება 2040 წლისთვის. რუსეთიც ცდილობს მზარდ ინდუსტრიაში ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახდეს, თუმცა რუსული გაზის მწარმოებელი და LNG ექსპორტიორი კომპანიისთვის (Novatek) მიმდინარე წელი მძიმე არის. კომპანიის გაყიდვები მეორე კვარტალში წლიურად 2.6%-ით შემცირდა, ახალი პროექტის, Arctic LNG 2-ის ამოქმედება კი ჭიანურდება. აღნიშნული პროექტი რუსეთისთვის მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მისი დახმარებით ქვეყნის წილი მსოფლიო LNG ვაჭრობაში 8%-დან 20%-მდე უნდა გაზრდილიყო 2030-35 წლებისთვის. აშშ-მ სანქციების ერთ-ერთი პაკეტი კონკრეტულად ამ პროექტს დაადო, რის გამოც უცხოელი მენილეები და კონტრაქტორები მას ჩამოცილდნენ, რამაც Arctic LNG 2 ფინანსებისა და შემსყიდველების გარეშე დატოვა.

გრაფიკი 3: ბუნებრივი აირის ფასი (ICE Endex Dutch TTF), აშშ დოლარი/მგვ სთ



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 4: ბუნებრივი აირის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ბუნებრივი აირის იმპორტის ღირებულება წლიურად 20.7%-ით შემცირდა 6თვ24-ში, რაც დაბალი საიმპორტო ფასის შედეგია, რადგან მოცულობა ბევრად ნაკლებად 7.0%-ით შემცირდა წლიურად.

წყარო: საქსტატი



ძვირფასი ლითონები

ოქრო


2024 წლის ივლისში ოქროს ფასი თვიურად 5.2%-ით გაიზარდა. გეოპოლიტიკური დაძაბულობის (ტრამპზე თავდასხმა, ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის ესკალაცია), ეკონომიკური ინდიკატორების (აშშ-ს ინფლაცია, განაკვეთების შემცირების მოლოდინი) და ურისკო აქტივებში გადანაცვლების გლობალური ტრენდის ფონზე ოქროს ფასმა ივლისში კიდევ ერთ რეკორდულ ნიშნულს მიაღწია.

ტრამპზე თავდასხმამ ე.წ. „ტრამპ ტრეილები“ გააქტიურა, რაც ისეთ ტრეიდებს ეწოდება, რომლებიც დონალდ ტრამპის მიერ ნოემბრის არჩევნებში გამარჯვებით იხეირებს. სანამ ჯო ბაიდენი ბრძოლას გამოეთიშებოდა, ბევრმა ჩათვალა, რომ ტრამპზე თავდასხმა და თანმდევ სიმბოლური ფოტო ყოფილ პრეზიდენტს თითქმის გარანტირებულ გამარჯვებას მოუტანდა. შესაბამისად, ინვესტორებმა ისეთი აქტივების ყიდვა დაიწყეს, რომელთათვისაც ტრამპის გაპრეზიდენტება დადებითი მოვლენა იქნებოდა. Bloomberg-ის გამოკითხვის მიხედვით, ამ შემთხვევაში ოქრო პორტფელის დივერსიფიკაციის საუკეთესო საშუალებაა. მოგვიანებით, როცა საპრეზიდენტო რბოლაში ბაიდენის ნაცვლად კამალა ჰარისი ჩაერთო, „ტრამპ ტრეილები“ შემცირდა, თუმცა ოქროზე მოთხოვნა კვლავ მაღალი დარჩა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების ფონზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ახლო აღმოსავლეთში უფრო ფართო ომის რისკებმა ჰეჯირების აქტივებზე, განსაკუთრებით კი ოქროზე მოთხოვნა გაზარდა.

გლობალური რისკების გარდა მაკროეკონომიკური ფაქტორებიც დადებით როლს თამაშობდა ოქროსთვის. აშშ-ში შემცირებული ინფლაციის გამო სექტემბრიდან განაკვეთების კლების მოლოდინი გაჩნდა. ეს მალევე ფედერალური რეზერვის პრეზიდენტის განცხადებითაც დადასტურდა, რომლის მიხედვითაც სექტემბერში განაკვეთების შემცირება სავსებით რეალურია თუ ეკონომიკა მიმდინარე კურსს გაყვება. მოგვიანებით, აშშ-ს დასაქმების მაჩვენებლები მოსალოდნელზე ცუდი დაფიქსირდა, რამაც რეცესიის მოლოდინები გააჩინა, რაც გლობალურად აქციების გაყიდვაში ითარგმნა. შედეგად, ამ ეტაპზე ბაზარი მიმდინარე წელს განაკვეთების კლებას 2-3-ჯერ ელის, მათ შორის კი 2 სავარაუდოდ 50 საბაზისო პუნქტიანი შემცირება იქნება.


მსოფლიო ოქროს კავშირის (WGC) კვარტალური მიმოხილვის მიხედვით ოქროს OTC ტრანზაქციები წლიურად 53%-ით გაიზარდა 2კვ24-ში. ეს ზრდა საცალო ინვესტორების მიერ ფიზიკურ ოქროზე გაზრდილ მოთხოვნაზე მიუთითებს, რისი მთავარი მიზანიც რისკების ანონიმურად დივერსიფიკაციაა. დამატებით, ფიზიკურ ოქროსთან ერთად ბოლო კვირებში მზარდი და პოპულარული ოქროს ETF-ებში ინვესტიციებიც.

გრაფიკი 5: ოქროს ფასი, აშშ დოლარი/უნცია



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 6: ოქროს ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ოქროს ექსპორტის მოცულობა წლიურად 10.1%-ით შემცირდა 6თვ24-ში. გლობალურად ფასის ზრდამ ექსპორტის საშუალო ფასზეც იმოქმედა, რომელიც წლიურად 22.8%-ით გაიზარდა.

წყარო: საქსტატი



სოფლის მეურნეობა


ამონიუმის ნიტრატის

2024 წლის ივლისში ამონიუმის ნიტრატის ფასი თვიურად 4.5%-ით გაიზარდა. ზოგიერთი აზოტოვანი სასუქის მიწოდება, განსაკუთრებით კი ურეასი, შემცირებულია. ჩინეთს საკუთარი ექსპორტის მოცულობა უკვე თვეებია ლიმიტირებული აქვს, შედეგად 2024 წლის პირველ ნახევარში მისი ექსპორტის წლიური 87%-იანი კლება დაფიქსირდა. დამატებით, წარმოების პრობლემებია ევვიპტეში, სადაც სახელმწიფომ ბუნებრივი აირის მარაგები სასუქების ნაცვლად ენერგეტიკის სექტორში გადაამისამართა ქსელის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. შედეგად, ზოგიერთ მწარმოებელს ნაკლები დატვირთვით უწევს მუშაობა, ზოგმა კი ოპერირება დროებით შეწყვიტა.

ხორბალი


2024 წლის ივლისში ხორბლის ფასი თვიურად 4.5%-ით შემცირდა. ჩინეთის ადგილობრივი ბაზარს გლობალურ ფასებზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. ჩრდილოეთ ჩინეთში მოსული ნალექის გამო ფერმერები ცდილობენ საკუთარი ხორბალი რაც შეიძლება სწრაფად გაყიდონ, რათა უარესმა ამინდებმა მოსავალი არ გააფუჭოს. ამის საპირწონედ, ფქვილზე ადგილობრივი მოთხოვნა სუსტი ეკონომიკიდან გამომდინარე დაბალია. შედეგად, მზარდმა მიწოდებამ და დაბალმა მოთხოვნამ ფასები 3-წლიან მინიმუმამდე შეამცირა. ჩინეთის მთავრობა ფერმერების და ფასების მხარდასაჭერად ადგილობრივი შესყიდვების გაზრდას გეგმავს, რაც იმპორტის საჭიროების კლებას გამოიწვევს, შედეგად კი გლობალურ ფასებს შეამცირებს.

გრაფიკი 7: ამონიუმის ნიტრატის ფასი (შავი ზღვის რეგიონი), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 8: ხორბლის ფასი (Black Sea wheat Financially Settled Futures), აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 9: აზოტოვანი სასუქების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



აზოტოვანი სასუქების ექსპორტის ღირებულება წლიურად 38.2%-ით შემცირდა 2024-ში. აღსანიშნავია, რომ ექსპორტის მოცულობა 10.7%-ით არის გაზრდილი, ხოლო საექსპორტო ფასი მნიშვნელოვნადაა შემცირებული (-44.1%).

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 10: ხორბლის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ხორბლის იმპორტის ღირებულება წლიურად 33.5%-ითაა გაზრდილი 2024-ში, ხოლო მოცულობა 69.1%-ით, რაც შემცირებული საშუალო იმპორტის ფასითაა გამოწვეული (-21.1% წ/წ).

წყარო: საქსტატი



ლითონები და მადნები

სპილენძის მადნები და კონცენტრატები

2024 წლის ივლისში სპილენძის ფასი თვიურად 3.7%-ით შემცირდა. მაისის რეკორდული ნიშნულიდან ფასები თითქმის 20%-ითაა შემცირებული. მას შემდეგ ჩინეთის ეკონომიკის მოლოდინები გაუარესდა, მთავრობამ საკმარისად ვერ შეძლო ადგილობრივი ბაზრის გამოცოცხლება, რამაც სპილენძის ინვესტორებს 20 მლრდ აშშ დოლარის ყიდვის პოზიციების დახურვისკენ უბიძგა. დამატებით, აქტივების გლობალური გაყიდვები, რაც აშშ-ში რეცესიის შიშებმა და ტექ-სექტორის (სპილენძის მსხვილი მომხმარებლის) სისუსტემ გამოიწვია, ფასებზე მოკლევადიან პერიოდში, სავარაუდოდ, უარყოფითად იმოქმედებს. მეორეს მხრივ, ფედერალური რეზერვის მიერ განაკვეთების კლება ინდუსტრიულ აქტივობას გაზრდის, რაც სპილენძის მოთხოვნაშიც უნდა ითარგმნოს.

ფეროსილიკონი


2024 წლის ივლისში ფეროსილიკონის ფასი თვიურად 7.4%-ით შემცირდა, ჩინურის კი 0.8%-ით გაიზარდა. ფოლადისა და ნელლი პროდუქტების ფასები ევროპაში შემცირდა ზაფხულის პერიოდში შესუსტებულ აქტივობის და ისედაც დაბალი მოთხოვნის გამო. მსხვილი ცენტრალური ბანკების მიერ განაკვეთების მოსალოდნელი შემცირებები ფასებისთვის პოზიტიური იქნება, თუმცა ჩინურ ნელლეულზე მნიშვნელოვანი ეფექტი არ ექნება. ჩინეთის ეკონომიკა კვლავ ნელი ტემპით განაგრძობს აღდგენას. ამასთან, მთავრობის მიერ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმილი მხარდაჭერა მე-4 კვარტლიდან გაქტიურდება, რაც ფასებისთვის პოზიტიური იქნება.

გრაფიკი 11: სპილენძის ფასი (LME), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 12: ფეროსილიკონის (75%-იანი სინჯი) ფასი, აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 13: სპილენძის საგარეო ვაჭრობა საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



სპილენძით საგარეო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი რეექსპორტია და გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული. 2023 წლის კვლევის შემდეგ, იმპორტისა და ექსპორტის მოცულობა დაბალი ნიშნულზეა 2024-ში.

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 14: ფეროშენადნოების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ფეროშენადნოების ექსპორტის ღირებულება წლიურად 30.4%-ით, მოცულობა კი 47.5%-ით გაიზარდა 2024-ში. მიუხედავად დაფიქსირებული ზრდისა, ადგილობრივი მწარმოებლები სრული დატვირთვით არ მუშაობენ, რაც ზრდის მეთ პოტენციალს ნიშნავს.

წყარო: საქსტატი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიმართ. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია შესაძლო მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. შესაძლოა მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმეულს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებაზე უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოფს დაცვას.

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 240111

ელ. ფოსტა: research@gt.ge